„თეატრი და ცხოვრება"

= 1915 =

[illegible] № 28, 23. 16. 1915 წ.

[illegible] № 1. 23. 9.

[illegible] № 2

[illegible] № 27 № 4

[illegible] № 24. 25.

[illegible] № 32

[illegible] № 38

[illegible] № 43

[illegible] № 47

[illegible] № 42, 23. 9

[illegible] № 40 [illegible]

[illegible] გვ. 216 № 15, 46, 47

[illegible] № 10, 12

[illegible] № 2, 3, 4,

# თეატრი და ცხოვრება

სათეატრო სალიტერატურო ჟურნალი

1.—1915 მიიღება ხელმოწერა 1915 წ. „თეატრი და ცხოვრება“-ზე 4 იანვარი



ელისაბედ ჩერქეზიშვილი

(25 წ. ხასცენო მოღვაწ. და 7 იანვ. ბენეფისის გამო)



აშული ჰაზირა თავისი დასტით

(მისი 40 წ. სააშულო მოღვაწეობის შესრულების გამო)



№ 1

## შინაარსი:


1. მეთაური:—ა. „ერთი წავა და სხვა მოვა“ ბ. ჩვენს მკითხველს 1
2. ი. გრიშაშვილი—სამშობლოს მეხამბაზი, ლექსი 2
3. ა. შანშიაშვილი—ჩემთვის თუ სხვისთვის? “
4. ი. წ—ი—ქართველი მწერლები, დ. გ. ნახუცრიშვილი 3
5. დია ჩიანელი—სიყრმის საჩუქარი, 4
6 ი—ელი—ელისაბედ ჩერქეზიშვილი 5
7. დავ. მესხი—ომი, ომზე, ომის გამო 6
8. შოთა დადიანი—ზღაპარი 7
9. გ. ტაბიძე—რა სევდიან ზღაპარს ამბობს ქარი!.. ”
10. ს. აბაშელი—ზამბახის ფოთლები, ლექსი 8
11. გ. ქუჩიშვილი—ფერია,—ლექსი 9
12. ქ. ჭიჭინაძე—ეპიგრამები, ლექსი ”
13. იოსებ არიმათიელი—სახალხო მწერალ-მომღერალნი ”
14. დ. კოპალი—ევა, ლექსი 12
15. გ დათიაშვილი—განახლებული სული ”
16. ა ძაძამია—თფუუ, გურული სცენა ”
17. მ. კიაზოშვილი—და დღესაც გვსურს 13
18. იოსებ იმედაშვილი—ლია წერილი ”
19. მ—ე—ქართული სასცენო ხელოვნება და მუსიკა 1914 წ. 15
20. აქილესი—სათეატრო საქმე პროვინციაში ”
21. ქართული სახიობა: 16
22. წვრილი ამბები ”
სურათები, შარჟები, კარიკატურები,


## უკანასკნელი ცნობა:

**მგოსანი აკაკი** მძიმე ავადმყოფი შექმნილა. საჩხერეში.

**აკაკიმ დასწერა** ახალი პოემა.

**ჩვენი თანამშრომელი გ. ხერხეულიძე** (**გ. ფოცხოველი**) ვითომც ბრძოლის ველზე მოუკლავთ. სწორე ცნობების შესატყობად ზომებია მიღებული.

---


ს ა ხ ა ლ ხ ო ს ა ხ ლ ი

**ოთხშაბათს, 7 იანვარ 1915 წ.**

ბენეფისი

**ელ ჩერქეზიშვილისა**

**თბილ.** ქართ. დრამ. დასის ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება:

# ორი ობოლი

მელოდრამა 5 მოქ. და 7 სურ. თარგმ. ცაგარლისა

მონაწილეობს მთელი დასი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი სად. $7^1/_2$ ს

რეჟისორი მ. **ქორელი**

---

22 დეკემბრიდან გამოდის **„ჩვენი დროების“** მაგივრად

# „მადრევანი“

გაზეთი ღირს წლიურად 2 მ. 50 კ.

**ფული უნდა გამოიგზავნოს:** Тифлисъ, типографія „Сорапанъ“ Александру-Георгіевичу Мумладзе

---

**მიიღება ხელის მოწერა 1915 წ.**

# „ხმა კახეთისა“

ყოველდღიური **სამეურნეო და სალიტერატურო, სახალხო გაზეთი** (ჯერჯერობით ხუთშაბათობით და კვირაობით გამოვა.)

რედ.-გამომცემელი **კ. ი. ტყავაძე**

ფოსტის ადრესი: სიღნაღი, კ. ი. ტყავაძე

---

**მიიღება ხელის მოწერა 1915 წ.**

# „თემი“

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. **გამოდის ორშაბათობით. წლით 2 მ. 50 კ., ნახევარი წლით 1 მ. 25 კ.,** თითო **№—5** კ.

**რედ.-გამომცემელი გრ. დიასამიძე-**

მისამართი: Тифлисъ, ред. „Теми“, **Ольгинская, д. Діасамидзе, № 4.**

---

ა ს ა ლ ი კ ლ უ ბ შ ი

**კვირას, 4 იანვარს გამართავს**

სალიტერატურო დილას.

სანდრო შანშიაშვილის მიერ წაკითხული იქნება ახალი მისი თხზულება

# ქალი გრძნეული

დრამატიული პოემა.

**შემდეგ გაიმართება**

ს ა ჯ ა რ ო კ ა მ ა თ ი.

მონაწილეობას მიიღებენ: გრ. რობაქიძე, გერონტი ქიქოძე, ს. გორგაძე, იოსებ გედევანიშვილი, სამსონ დადიანი, ა. წუწუნავა, კონსტან ანდრონი, არჩ. ჯაჯანაშვილი, დ. კასრაძე, ნარკანი, მ. ად—ლი და სხვანი.

**ადგილების ფასი 1 მ. 50 კაპეიკიდან 50 კაპ. მოწაფეებთათვის 25 კ. დასაწყისი დილის. სრულს $11^1/_2$ საათზე.**

**ბილეთები** იყიდება „ახალი კლუბის“ მორიგე კარის კაცთან.

# თეატრი და ცხოვრება

№ 1

წ. III

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება „სორაპან“-ის სტამბაში. მისამართი: Тифлисъ Ред. „Театри да Цховреба“ І. Имедашвили

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „სორაპანის“ სტამბის კანტორაში—დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41

№ 1 | კვირა 4 იანვარი | 1915 წ.



მიიღება ხელმოწერა 1915 წ.

ყოველკვირეულ სათეატრო, სალიტ. სახელოვნო-სამხატვრო და საზოგ. შინაარსის ჟურნალ

წელიწადი მესამე | „თეატრი და ცხოვრება“-ზე | წლიურ. 5 მ. ნახ. წლ 3 მ

ჩვეულებრივის პროგრამით **ივანე გომართელისა** და **იოსებ იმედაშვილის** რედაქციით.



5855


## 1 იანვარი

**„ერთი წავა და სხვა მოვა“...**

„ერთი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა!“ ამ რწმენით გაკაჟებულნი მუდამ სასოებით შევხაროდით და შევხარით ახალს, ძველით გულმოკლულნი...

ძველმა ბევრი შხამი შეგვასვა, არა თუ კერძოდ ჩვენ—ქართველებს, არამედ მთელ მოწინავე ქვეყნებსაც... საერთაშორისო ომიანობამ შეაჩერა თავისუფალი განვითარება ხელოვნებისა, მწერლობისა და საზოგადოთ ყველა იმ დარგისა, რომელიც ადამიანის ამაღლება-დაწინაურებას ემსახურება...

თოფ-ზარბაზნის ტყვია-ყუმბარამ ხელოვნების ბევრი ძვირფასი ძეგლი გაანადგურა, ოცნება და სინამდვილე ურთიერთს დააჯახა, მოწინავე მოაზროვნეთა დებულებანი დროებით მაინც უკანა რიგზე ჩამოაყენა, საერთაშორისო ძმობა ერთობის მქადაგებელნი ერთი მეორის წინაამდეგ დარაზმა...

ჩვენი ქვეყანა კიდევ უფრო დიდათ დაზიანდა... გარდა იმისა, რომ დიდძალი ხალხი უმსხვერპლა ომის ღმერთს, სიმშილი და სხვა ნივთიერმა გაჭირვებამ ხალხი დიდს განსაცდელში ჩააყენა... ხოლო როცა ადამიანს კუჭის საზრდო არა აქვს, რასაკვირველია, სულიერ საზრდოზე ლაპარაკიც მეტია...

მიუხედავად ამისა, ამ ომიანობამ სავონებელში ჩააყენა ჩვენი ქვეყანა: დღემდე ურთიერთისაგან გათიშულნი ხალხის მესვეურნი საერთო ჭირ-ვარამში შეათანხმა და ეს იმის მომასწავებელია, რომ ჩვენი ერი განახლების გზას დაადგება...

ამ რწმენით აღჭურვილი გილოცავ, ჩემო სამშობლოვ და ძვირფასო მკითხველო, ახალ წელთან ერთად განახლებას, სულიერ—ნივთიერ აღორძინებასა და წინსვლას!..

——

**ჩვენს მკითხველს**

გასულ წელს მეტად მძიმე პირობებში მოგვიხდა ჟურნალის გამოცემა-წარმოება: ჯერ იყო და—გამოცემა გვიან—მარტში—დავიწყეთ, შუა ზაფხულში საერთაშორისო ომიანობამ იფეთქა, შემოდგომაზე თეატრი დაგვეწვა, სადაც ცეცხლმა, სხვათა შორის, ჩვენი რედაქციის ქონებაც იმსხვერპლა... მიუხედავათ ამისა, ჟურნალის გამოცემა არც ერთ დღეს შეგვიჩერებია და დღემდე მოვიყვანეთ ($9\frac{1}{2}$ თვეში სულ 43 № გამოვეცით). ეს შეგვაძლებინა განსაკუთრებით მკითხველთა და თანამშრომელთა—სიყვარულმა და თანაგრძნობამ.

მკითხველ საზოგადოების თანაგრძნობით გამხნევებულნი ამ წელსაც ვაგრძელებთ ჟურნალის გამოცემას, არ უდრკებით არავითარ დაბრკოლებასა და ზიანს, რადგან გვწამს, რომ იგივე ჩვენი მკითხველი მომავალშიც შეგვაძლებინებს გამოცემის წმინდა საქმე პირნათლად განვაგრძოთ ჩვენი ქვეყნის სასიკეთოდ...

როგორც წარსულში, ახლაც ჩვენი ჟურნალი ყოველგვარ დასურ-ჯგუფურ მიმართულებათა გარეშე იდგმება, რადგან სწამს, რომ ხელოვნება, თეატრი, მწერლობა და საზოგადოდ, ჩვენის ქვეყნის კულტურული წინსვლა ყველასთვის ძვირფასია, და ამ დარგში ყველამ ხელიხელ ჩაკიდებულთ უნდა ვიმუშაოთ!..

# სამშობლოს მუხამბაზი

„თავისუფლება!“ „თავისუფლება!“ ირგვლივ გაისმის ძახილი ესე —
და შენ, მტარვალო, იმას მოიმკი, რაც რომ დასთესე... რაც რომ დასთესე!..
ო, გვეყო! გვეყო! მძლავრთ უკმეხობა; ო, გვეყო! გვეყო! ტანჯვა სულისა,
ჩამოვიბერტყეთ შენი დიდება, უაგიდგა ჟამი აღსასრულისა...
და რაც რომ იყო — ის აღარ არის! და რაც რომ არის — არც ის იქნება!
ახალ ცხოვრების ახალ ყალიბში ახალი აზრი ჩამოიქნება!..

ჩამოდნი თოვლო! მთის მწვერვალიდან, დაიჩუხჩუხე, დაიმქუხარე:
მირეგვ მორეგვე კერპთა დარბაზი, წალეკე მწიკვლი და სიმწუხარე..
და როცა ყვავილს, ბუთხუზა ყვავილს, ცის თეთრ შარბათით თასი ევსება, —
ხშირად იმავ დროს მის სპეტაკ ფურცლებს შხამ-კბილა გველიც ეალერსება.
და რაც რომ იყო — ის აღარ არის! და რაც რომ არის — არც ის იქნება:
ახალ ცხოვრების ახალ ყალიბში ახალი აზრი ჩამოიქნება.



# ჩემთვის თუ სხვისთვის?

ქართველი კაცი უნდა იყოს ეგოისტი თავის ეროვნულ იდეისა. დღეს კი სულ წინააღმდეგს ვხედავთ. ქართველს თავისი თავი ავიწყდება და, ვით რაინდს შეჰფერის ძველი დროისას, სულ სხვისთვის არის გადაგებული

ოღონდ სხვას არგოს, ასიამოვნოს, სხვას ბედი შეჰყაროს და ამით იგი კმაყოფილია, თუნდაც თვითონ და თავისიანიც დაღუპვისკენ მიექანებოდეს.

ქართველი კაცი ბუნებით ალტრუისტია, ფილანტროპი და კოსმოპოლიტი, ანუ ისეთი, რომელსაც სხვა უყვარს, სხვისთვის თავს არ ზოგავს, სხვისთვის და მთელი მსოფლიოსთვის ბედის ძიებაშია.

ასეთი ბუნება მართლაც რომ საქებია, მაგრამ ერთიც ვიკითხოთ: სხვა თვით ქართველისთვის რას ზრუნავს და რას აკეთებს?

არაფერს! ყველა თავისკენ მიითლის. ყველანი ხელეჩოთ გარდაქცეულან. ქართველი კი რაინდია. სულ სხვისთვის და სხვისთვის.

მე, როგორც ქართველმა, რომელ ერისთვის უნდა ვიზრუნო, როცა თვით ჩემი დაბეჩავებული სამშობლო ზრუნვას მოითხოვს ჩემგან?

ჩემს ერში არის ყველაფერი: სული, ხელოვნება, ნიჭი და ფილოსოფია!

ჩემს ერში არის ის, რითაც ამაყობს განყენებული კაცობრიობა.

ეგოისტი ვარ ჩემის ერის იდეისა, ჩემის ერის სარგებლიანობისა; ყოველი ქართველი უნდა იყოს ჯერ თავის ერისთვის, რათა იგი აამაღლოს, გზა გაუკვალოს საუკეთესო მომავლისკენ; ყოველ ქართველისთვის ერთი საკითხი უნდა არსებობდეს: არგებს ჩემს ერს და საქართველოს თუ არა?

როდესაც ასეთი გულმოდგინება დაისადგურებს ჩვენს არსებაში, როდესაც ასეთი ეროვნული ეგოიზმით გავიმსჭვალებით, ჩვენი მიზანიც მიხწეული იქმნება. ჩვენი ერი შევა კაცობრიობაში მთლიან არსებად და სულ ადვილი შესაძლებელიც არის, ამ დროს თვით ჩემი ერი გარდაიქცეს კაცობრიობად..



# ქართველი მწერლები.—დ. გ. ნახუცრიშვილი





მართალია, ჩვენი სიტყვა-კაზმული მწერლობა, სხვა დარგთან შედარებით, განუვითარებელია, მაგრამ ამ დარგის მწერლებიც მოგვეპოებიან და, თუ მათი ნაწარმოებნი მკითხველთა ფართო წრეს არ ეფინება — ეს ჩვენივე ბრალია. მწერლობა და მწერლის შემოქმედება მაშინ ვითარდება, როდესაც მკითხველი კვალ-და-კვალ გაჰყვება მწერალს. ჩვენთა მწერალთა ნაწარმოებნი-კი უმეტესად ჟურნალ-გაზეთებშია გაბნეული, მკითხველისათვის თითქმის დაფარული: მწერალი სწერს, მკითხველი-კი საშუალებას მოკლებულია გაიცნოს თვისი ყოფა-ცხოვრების მომთხრობნი.

ერთი ასეთი მწერალთაგანია დავით ნახუცრიშვილი, ავტორი პიესების „იანიჩარი“, „ოჯახის ბურჯი“, „დედაკაცმა აგვრია“ და სხვა., რომელის მოთხრობანი ჟურნალ გაზეთებში იბეჭდებოდა ცხრაასიან წლებს აქეთ.

დ. ნახუცრიშვილი გარე კახელია, სოფ. ხაშმელი გლეხისშვილი. დაიბ. 1876 წ. სწავლობდა თბ. სასულ. სემინარიაში, საიდანაც მერვე კლასიდან დაითხოვეს ხელნაწერ ჟურნალის წარმოებისათვის, მაგრამ სწავლის წყურვილით გატაცებულმა პოლტავის სასულ. სემინარიაში დაამთავრა კურსი და სამშობლოში დაბრუნებისთანავე, დრამ. საზ. გამგეობას მდივნად არჩეული, უფრო მხნედ შეუდგა სამწიგნობრო მუშაობას. ჯერ ისევ სემინარიაში იყო, „იანიჩრი“ რომ დასწერა და დრამ. საზ. ჯილდოც (პრემია) მიიღო.

მისი მოთხრობანი, როგორც ვსთქვით, სხვა და სხვა გამოცემებში იყო გაბნეული. ამჟამად ეს მოთხრობანი ერთ ცალკე წიგნადაა გამოცემული „ჯიუტები“-ს სახელით (სულ ათი მოთხრობა). ნაწარმოების ავკარგიანობაზე აქ არას ვიტყვით, მოვიყვანთ მხოლოდ ამ წიგნის გამომცემლის, იოსებ იმედაშვილის „მცირე წინასიტყვაობას“ მწერლის დასახასიათებლად:

„უკანასკნელი დროის ჩვენი მწერლები მეტის-მეტად გაიტაცა უცხოეთის მწერლობის სხვა-და-სხვა მიმდინარეობამ და ბევრი მათგანი ხშირად ისე სწერს, რომ დიდი ბიჭობა გინდა—მიხვდე რასმე: არის ლამაზი სიტყვები, უცხო გამოთქმანი, თითქოს რაღასაც ჰგრძნობთ კიდეც, მაგრამ გაგებით-კი ვერას გაიგებთ და გულის დასამშვიდებლად იმას-ღა იტყვით: ღრმა სიმბოლიზმიაო, და წიგნს გვერდზე გადასდებთ ხოლმე...

ამიტომაც არის, რომ ჩვენი ქართველი მკითხველი ჯერ ისევ გატაცებით ეწაფება ალ. ყაზბეგის, ილ. ჭავჭავაძის, ეგ. ნინოშვილის, ნ. ლომოურის და სხვა მისთანა მწერალთ, რომელთა შემოქმედების ერთად-ერთი წყარო ჩვენი ცხოვრების სინამდვილეა, ხალხის ნამდვილი ყოფა-ცხოვრება... და ახალ მწერლობას აგრე რიგად ვერ ეგუება...

საჭიროა კია, დიდათ საჭიროა, ჩვენმა სიტყვა-კაზმულმა მწერლობამ საგნად ცხოვრების სინამდვილის ხატვა დაისახოს,—გვაჩვენოს ჩვენი ხალხის სახე და სულის კვეთება...

ერთი ასეთი მხატვართაგანი ჩვენი ახალგაზდა მწერალი — დ. ნახუცრიშვილია, — ფრიად სადა, მარტივი, მაგრამ გლეხთა ცხოვრების დიდის უნარით დამხატველი.

ჩვენი მიზანი არ არის, ამ მწერლის შემოქმედების განხილვა,—დაე მკითხველმა და ჩვენმა კრიტიკამ დასდოს მსჯავრი, ვიტყვით მხოლოდ, რომ იგი ჯანსაღი შემოქმედია, და ამ მხრით ფრიად სასარგებლო ჩვენის მკითხველისათვის...

ამიტომაც განვიზრახეთ მის ნაწერ-მოთხრობათა ცალკე წიგნად გამოცემა. ვფიქრობთ, ამ გამოცემას მივაყოლოთ სხვა ჩვენი სახალხო მწერლების თხზულებათა გამოცემა...“

წიგნი ფაქიზათ აწყობილი — დაბეჭდილი, შემკული მშვენიერის ქაღით, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი, შეიცავს 118 გვ. და ჰღირს 30 კ.

ეს წიგნი ქართველ მკითხველთათვის საახალწლოდ საუცხოვო საჩუქარია.

ი.. წ—ი



გაწყვეტილი სიმი.
ნინო ჩხეიძე (ელენე)
ნახაზი შ. ქიქოძისა

# სიყრმის საჩუქარი

**საახალწლო ძღვნათ ქ-ოს.**

## I

ისინი სულ ერთად თამაშობდენ: პაწა გოგო და პაწა ბიჭი...

ხშირად ჩხუბობდენ, მაგრამ უფრო ხშირად—ტკბილად თამაშობდენ! გოგო მდიდარი სახლის პატრონის ასული იყო. ბიჭი კი—ღარიბი მოხელის ვაჟი... ორივენი ერთ ეზოში ცხოვრობდენ და პატარაობიდან ერთმანეთს შეეჩვიენ...

ისინი მაინც ერთმანეთს არ დაშორდენ, როცა წამოიზარდენ.. ბავშური მეგობრობა გაიზარდა და რაღაც სხვა სახე მიიღო, რომელმაც მათი გული რაღაც ნეტარებით აავსო .. და ორივე დაიმორჩილა ახალმა ძალამ, რომელიც მეგობრობაზე დიდი იყო, უფრო ნაზი....

ახლა ისინი აღარ თამაშობდენ. თამაში აღარ აერთებდა მათ გულს, მაგრამ ერთმანეთს რომ გადახედავდენ,—გული დაუწყებდათ თამაშს და ეს უფრო ტკბილი იყო ბავშურ ცელქობაზე...

გაიზარდენ.. ქალი უკვე გიმნაზიის უფროს კლასში იყო, ვაჟს კი გიმნაზია უნდა დაესრულებინა... ხშირად ხვდებოდენ ისინი ერთმანეთს ეზოში, ბაღში და ერთხელ პირველმა კოცნამ ისინი შეაერთა...

დრო გავიდა... ვაჟმა გიმნაზია დაასრულა, მაგრამ უსახსრობის გამო უმაღლეს სასწავლებელში ველარ წავიდა .. კერძო გაკვეთილებით დაიწყო ცხოვრება და მეორე ქალაქში გადავიდა...

სიყვარულით გამოეთხოვე ერთმანეთს.. ასულს მდუღარე ცრემლი სდიოდა და ვაჟს სახსოვრად ოქროს ყდაში ჩასმული რვეული მისცა.

— ჩემს მაგიერად ეს იყოს შენი ფიქრების მესაიდუმლე! —უთხრა...

ვაჟმა გამოართვა. . გაიღიმა. . გულზე მიიკრა... მადლობა უთხრა..

—შენ უკანვე მიიღებ ამ რვეულს... მაგრამ ეს იქნება ოდესმე . როცა ამ რვეულს ჩემი ფიქრებით ავავსებ .. ჰო, უკანვე დაგიბრუნებ... მაგრამ .. ველარ მოასწრო დაეთავებია. მატარებელმა გააქანა იგი.. მხოლოდ უკანასკნელად ღიმილი შესთავაზეს ერთმანეთს ..

## II

გავიდა ხანი.. ასულმა დაივიწყა სიყრმის მეგობარი... დაივიწყა.. მას მეორეთ აუთამაშდა გული და, ერთს მშვენიერ დღეს, პირველ სიყვარულს ხელი ჰკრა.

ასულმა თვისი ბედი სხვას შეუერთა...

დავიწყება სთხოვა სიყრმის მეგობარს... ყმაწვილს საყვედურიც არ უთქვამს..

მოშორდა სამშობლოს... და შორს, რუსეთის ერთს ქალაქში გადიკარგა ...

ცრემლები სწვამდა ვაჟის გულს, ჯავრი უფლეთავდა სულს .. არავის არ უზიარებდა იგი თავის ტანჯვას, მხოლოდ რვეულს, რომელიც ერთხელ სიყრმის სატრფომ უთავაზა, უზიარებდა თავის ტანჯვას, მის თეთრ ფურცლებზე ღვრიდა სევდის ცრემლებს. .

## III

ასული დაქორწინდა.. მაგრამ ის ბედნიერება, რომელსაც იგი ელოდა, სადღაც პირველ ღამის შემდეგ გაქრა... ის ბავშური აღტაცება, რომელიც მას განეცადა, სადღაც გაქრა .. მიდიოდა დრო და ის ატყობდა, რომ მისი ახალი სიყვარული, მხოლოდ ზღაპარი გამოდგა...

და მიხვდა იგი, მიხვდა, რომ სადღაც გაქრა მისი ბედნიერება... ის უმანკო ბედნიერება, რომელიც მას წარმოდგენილი ჰქონდა...

ხშირათ დაუდგებოდა ხოლმე წინ ის

სიყრმის მეგობარი, რომელსაც ხელი ჰკრა...

ხშირად წარმოუდგებოდა მისი სევდიანი სახე და ცრემლები უნამავდა თვალებს ..

უნამავდა ცრემლები თვალებს და სიყრმის ოცნებას უხმობდა...

მაგრამ იგი არსად იყო.. არსად...

— გავყიდე სიყვარული, გავყიდე ოცნება... წმინდა.. იძახდა იგი გულში და დღითიდღე დნებოდა... დნებოდა. უხმობდა პირველ სიყვარულს, მაგრამ ის არსად იყო ..

ლოგინად ჩავარდა ასული... არაფერი მას არ შველოდა ..

## IV

ზამთრის საღამო იყო. ნელა თოვდა. დედა-მიწა, თითქოს სატრფო სატრფოს მკლავებში, თრთოდა, ნელა ირხევდა თეთრ სამოსს და თბილად ჟრჟოლავდა თეთრი საბნის ქვეშ. ხეებსაც თავი დაეხარათ და თეთრად დაბანგვლილნი ანგელოსებივით იდგნენ, რომ ღამე ცისკენ გაფრენილიყვნენ. ნელა, ნელა მოფრთხიალებდნენ ციდან თეთრი პეპლები და არე-მარეს ედებოდენ, დედამიწას საწუწნად გულში ეხუტებოდენ..

სიბნელის თხელი ძაფებიც თოვლის პეპლათა გროვაში იქნებოდა და მათში ჩახლართული სამყაროს ებლანდებოდა...

ნელა, აქა-იქ ფრთხიალებდენ ჩიტები...

ფანჯარასთან იჯდა ასული და სევდიანი თვალს ადევნებდა არე-მარეს.. დღეს წამოდგა ზეზე—ამ ნახევარ წლის განმავლობაში.. წამოდგა, რაღაც სიხარულით ატაცებული... ფანჯარასთან დაჯდა... მაგრამ მოაგონდა წარსული... სევდამ შეიპყრო....

—ხვალ ახალ წელიწადია, წარმოსთქვა მან... ამ დროს რამდენი საჩუქრები მომსვლია ხოლმე... დღეს კი ვის სცალია? .—და ისევ ფიქრმა წაიღო...

ფოსტალიონმა მოიტანა და გოგომ რაღაც გადასცა...

გახსნა თეთრი ტილო.. და იქიდან ოქროს ყდიანი რვეული გამოჩნდა. .

მიხვდა იგი, რაშიც იყო საქმე, და გაფაციცებული ეცა ქაღალდს, რომელიც რვეულში იდო...

-- „ვასრულებ უკანასკნელ სურვილს ამხანაგისას... იგი ბრძოლის ველზე მძიმეთ დაიჭრა.... ერთი კვირა იცოცხლა კიდევ... სიკვდილის წინ მთხოვა ეს თქვენთვის გამომეგზავნა“.. ეწერა შიგ ..

— ღმერთო! —დაიძახა ასულმა და რვეული გავარდა... ძირს დაეცა.. ფურცლები გადიშალა.. დაამტერდა იგი. ბევრგან სისხლით იყო შეღებილი..

და უკანასკნელად შეიგნო ასულმა, რომ სამუდამოთ დაკარგულ ბედნიერებას აღარაფერი აღადგენდა... მიხვდა, რომ მისთვის ყოველივე მოკვდა... აიღო სისხლით, სიყრმის სატრფოს სისხლით გათხუპნული რვეული, გულში ჩაიკრა—გიჟივით კოცნა დაუწყო, საშინელი ქვითინით ლოგინზე დაეცა..

და სამუდამოთ მოკვდა მისი სული!!

დაიმსხვრა მისი ოცნება..

**დია ჩიანელი**



## ელისაბედ ჩერქეზიშვილი

25 წ. სასცენო მოღვაწ. და 7 იანვ. ბენეფისის გამო)

ვისაც ქართული სცენის სახელი გაუგონია —რასაკვირველია, ელ. ჩერქეზიშვილიც მეცნობება. 25 წელზე მეტია, ეს ნიჭიერი მსახიობა ქალი სამშობლო სცენას ემსახურება და არ ერთხელ დაუტკბია საზოგადოება თვისი მაღალ მხატვრული და ხელოვნური თამაშით. ზოგიერთ როლების (ხოვლის კნეინების, ქვრივ დედაკაცების, ძიძების და სხ ) ასრულებაში ხომ ბადალი არა ჰყავს. დამსახურებულ მსახიობქალის 25 წლის სასცენო მოღვაწეობის იუბილე გასულ წელს უნდა გადესასწაულნა ქართველ საზოგადოებას, მაგრამ ომიანობის გამო თვით ელ ჩერქეზიშვილმავე უარი განაცხადა იუბილეს გამართვაზე როდესაც ბრძოლის ველზე ჩვენთა ძმათა სისხლი იღვრება რა მედღესასწაულებაო! სამაგიეროდ მის საბენეფისო წარმოდგენას ჰმართავს ქართ. მსახიობთა ამხანაგობა სახალხო სახლში. სდგავენ ცნობილ „ორი ობოლი“-ს, რომელშიაც მობენეფისე შეასრულებს მამიდა ფროშარის როლს

იმედია, ქართველი საზოგადოება სიამოვნებით შეეგებება თვისი დამსახურებული სცენის ქურუმქალის სადღესასწაულო წარმოდგენას.

**ი—ელი**

# ომი, ომზე, ომის გამო

წერილი სოფლიდან

საზარელია ომი....

ვინ დასთვლის—რამდენი მსხვერპლი იწირება, შეიწირა უკვე და აწიც რამდენი შეიწირება. გესმის „დიდი კაცებისა“, მცოდნე ხალხის მოსაზრება, ნააზრევი და ყველა ეს თითქოს ოდნათ ანელებს ამ ზარდამცემი ომის საშინელებას:—

იქნებ, მართლაც, ეს ომი ომის წინააღმდეგი იყოს?

იქნება, კაცთა შორის მშვიდობა დამყარდეს, გათავდეს სისხლის ღვრა, დასრულდეს აუხსნელი ჟლეტა უდანაშაულო ადამიანისა, ბოლო მოეღოს მილიტარიზმის აუწერელს ვნებას კულტურის წინააღმდეგ?

კაცობრიობა, საუკეთესო და თვალსაჩინო მის წარმომადგენელთა მეოხებითა და ღვაწლით, აშენებს დიდებულ საქმეებს; ჰენიოსნი თითქოს ხელთუქმნელს ნაწარმოებსა ჰქმნიან... ქვეყანა ჰირნახულობს, უვლის, ამაყობს ამ განძეულით, ცხრაკლიტულში იცავს მათ. და ასეთი მარგალიტი რამ, ამა თუ იმ ერისგან შექმნილი, მარტო და კერძო იმის საკუთრებას არ შეადგენს, იგი საერთო-საკაცობრიოა....

მაგრამ აგერ იჭექა ზარბაზანმა და მტვრად აქცია ყოველივე.

საუკუნოებით კულტუროსანთაგან შექმნილი, კულტუროსანთა მიერვე იმხობა....

საზარელია ომი....

იგი მხეცად აქცევს თვით უკულტურეს ადამიანს. თვით უსათნოესი ველურდება, შმაგი ხდება, ჰკარგავს ღვთის სახეს და ყოველივეს ანადგურებს:..

და კვლავ რამდენი საუკუნეა საჭირო, რომ აღორძინდეს დამხობილი, აშენდეს ფერფლად ქცეული ცოდნის სალარო ფასდაუდებელი განძეულით; რამდენი საუკუნეა საჭირო, რომ აღსდგეს გაცამტვერებული საუნჯენი, გონიერთა მიერ საფუძველ გასკვნილი.. .

საზარელია ომი....

გვანუგეშებენ და თავს ასე მართლულობენ:—რაც უფრო სასტიკი იქნება კაცთა ჟლეტა, რაც უფრო შეუბრალებელი ხოცვა, განადგურება, რაც მეტი ზღვა სისხლი დადგება, მით უფრო მალე ჩამოვარდება მშვიდობაო.

ვაი, სირცხვილო, ვაი მეოცე საუკუნევ! მშვიდობა რო ჩამოვარდეს, საჭიროა მილიონობით მსხვერპლი, ცრემლი, ტირილი, ვაება, აკლება, აწიოკება.... დამხობა ქვეყნებისა...

აკი იყო მშვიდობა! არღვევენ მშვიდობას, რომ სისხლითა და ცრემლით მოიპოვონ იგივე: მშვიდობა.

საზარელია ომი....

* * *

რამ დაადუმა სოფელი? არსად სიმღერა, არსად თავყრილობა გასართობათ, სამხიარულოთ. მტერი არც ისე ახლოა ჩვენზე, რომ აკლებისა გვეშინოდეს.. არსად მაყრული, ქორწინება, რაც სხვა დროს შემოდგომაზე ისე ხშირია ხოლმე ყველგან სოფლად.

ათში ორს მაინც შეხვდები დღეს ძაძით მოსილს...

ვის-ღა ემღერება... მაყრული, ქორწილი? სასიძო ახალგაზრდებს სანთლითაც ვეღარ მოსძებნი.

მწიგნობარს, წერა-კითხვის მცოდნეს დღეს დიდი პრაქტიკა აქვს სოფლად. მოხუცი თუ ახალგაზრდა მიღებული და მისაწერი ბარათებით დაძრწიან. სოფელს მეტი აღარა აგონდება. მოსალოდნელი შიმშილობა თითქოს მეორე რიგზეა. ჭირი ჭირზედა. საიმედო მუშა, ოჯახის იმედი გარეთ, ცხრა მთასი ქით მტერს ებრძვის და შინ ცარიელი ბეღელყურე....

* * *

სოფლად ამბავი მოვიდა, პრუსიის საზღვარზე პლატონ მამრიკლიშვილი მოკლესო. უზარო ტირილი შეიქნა პლატონას ოჯახში. პლატონას მარტო ოჯახი—მოხუცი მშობლები და ახალგაზრდა ცოლი არ იგლოვდა „კარგი ბიჭი“ იყი ყველაფრად და კუთხი მეზობელი, მთელი სოფელი გლოვობს მის დაკარგვას. გამართეს სოფლის ჩვეულებისამებრ ტირილი, მოპატიჟებით, გადასაბურავით და სხვა.

მესამე დღეს, გამოტირილს შემდეგ, ქართულ გაზეთებში ვკითხულობთ: პლატონ მამრიკლიშვილი დაჭრილი წევს პეტროგრადის

საავადმყოფოშიო... მეექვსე დღეზე მოვიდა ახალი ცნობა:-პლატონ მამრიკლიშვილი ჭრილობისგან გარდაიცვალაო.

გლოვა, ტირილი... აუწერელი სიხარული და ისევ გაუზომელი ვაი ვაგლახი...

ხშირია ასეთი მოვლენა სოფლად, უპატრონო, უგზო-უკვლო სოფლად.

# ზღაპარი

(ძღვნად ს-ას)

მუდამ უძრავად, მუდამ მშვიდად, მუდამ ერთ ადგილს კიაფობდა ის საუცხოვო ვარსკვლავი.

დასაბამიდან უცნაურ ძალას აღემართა იგი ოქროს ტახტზე, რომელსაც კვარცხლბეკად ღრუბელი ედგა და თითონ უსაზღვროებას აზიდულიყო.

ვარსკვლავს კი თავისუფლება სწყუროდა. მას სურდა მოვლებოდა სამყაროს, ერთი კიდე მეორეზე გადაება, კამარა შეეკრა.

მას სურდა თვისი ცეცხლის სხეულით ჰორიზონტს გადახვეოდა და მძლავრს, აღგზნებული ხვევნა-ალერსში სატრფო დაეწვა, დაედაგა.

მას სიცოცხლე, მოძრაობა, ნავარდი სწყუროდა. სძულდა ცივი, უსაზღვრო, აუღელვებელი, ჩუმი ზეცა. გულს უკლავდა ერთფეროობა, ბეზრდებოდა მონობა და თავის მწუხარებას, მოუთმენლობას ღამით ციმციმით გამოსახავდა და ცეცხლის ცრემლებს გადმოაფრქვევდა დედამიწას.

ეთხელ, ჯოჯოხეთურის სიძლიერით გრიგალმა ღრუბლებიდან შეჭედილი კვარცხლბეკი შეარყია. ჰარმონია დაირღვა და მნათობი ტახტიდან გადმოვარდა. შეუსრულდა გულის წადილი.

გაშალა ელვარე ფრთები, კუდი საჭედ იხმარა და დაიწყო უსაზღვრო სივრცეში ნავარდი. ხან ეთერში გეხვევოდა, ხან მზის სხივებს ეჯიბრებოდა, ხან მთვარეს ჩაუქროლავდა, ხან სხვა ცის მნათობს გაულიშებდა, ხან უკუნ ბნელში ჩაინთქებოდა, მაგრამ მუდამ ნათელი, მუდამ მოკიაფე, მუდამ მგზნებარე, მუდამ ცელქი, უვნებელი რჩებოდა.

მოსწყინდა ესეც ზეცის ასულს. მოუნდა დედამიწის ნახვა, რომელიც ნაცრის ფერ არსებად ეჩვენებოდა ზევიდან. და, აი, ერთ დღეს, როცა მიწამ ის-ის იყო თვალი გაახილა, რომ დილის მნათობს შეჰგებებოდა, ჩვენი მბორგავი მსუბუქ ფრთებზე ზესკნელიდან ქვევით დაეშვა.

მზემ სწორედ იმ დროს ამოჰყო თავი და ცალი თვალით, ფრთხილად გადახედა არე-მარეს. პირველი მისი სხივები წალკოტში აცრემლებულ ვარდს მოხვდა და დაამარგალიტა. ახალი სტუმარი სააქაოსი სწორედ ამ წალკოტში მოქცეულიყო და გაოცებული შეჰყურებდა ყველაფერს: მას ჯერ ამის მსგავსი არაფერი ენახა. ვარსკვლავს, ერთხელ ჰაერში მონავარდეს, მოუნდა, იმ ვარდს დამსგავსებოდა... მისი სურვილი სასწაულებრივ სინამდვილედ იქცა და ზეცის თვალი ქვეყნის თვალად გადაიქმნა: ვარდთან საუცხოვო სილამაზის ასული გაჩნდა.

ვარდმა ცრემლები შეიშრო და თავისი ლამაზი, სურნელოვანი სახე ასულს მიუშვირა საკოცნელად. ისიც დასწვდა მას და ფრთხილად ხელში აიყვანა, გულთან ახლოს, მკერდზე დაისვა.

მას შემდეგ ვარდი არ მოშორებია მას და ორივე ერთმანეთს დაემზგავსა. ასულმა ძველი ბინა სამუდამოდ დაივიწყა და, თუმცა ზეცა ხანდახან მისი ჯიუტობით, რისხვით დაიღრიალებს, ხან კი ცრემლთა ნაკადით ემუდარება დაბრუნებას, მაგრამ ამაოდ.

ზეციურმა ქვეყნიური შეიყვარა.

**შოთა დადიანი**

# რა სევდიან ზღაპ'რს ამბობს ქარი...

რა სევდიან ზღაპარს ამბობს ქარი,
ამეშალა ჩვეულ ფიქრთა ჯარი.

დაიძინეთ, სურვილებო, კმარა!
კმარა ცრემლი, რაც რომ დაიღვარა.

დაიძინე შენც, იმედო ჩემო,
ჩემო რწმენავ, ზეცავ და ედემო.

მოგონებავ, შენ რამ აგაჩქარა?
დაიძინე, დაიძინე, კმარა!

შავი ღამე ძილს ქსოვს აბ-ეშუმად
და შრიალით მოდის... ჩუმად, ჩუმად...



კომპოზიტორი კ. ფოცხვერაშვილი — შარჟი შ. ქიქოძისა

# ზამბახის ფოთლები

(ქსოვილი)

მე შენ გეძებ, შენთან ერთად მსურს უცქირო უნისლო ცას,
მე ვარ ჩრდილი შენი ფიქრის,—რად მიმალავ სულის ლოცვას?
შორით მათრობს შენი სახე, თვალთა შუქი, თმის ჩანჩქერი,
ვით პეპელას—ყვავილებში ჩაკმეული ოქროს მტვერი.

და ჰა, ხედავ? მეც გავქვავდი, ვით ეს ჩუმი მთათა ზღუდე,
და უაზრო სტრიქონები კიდევ უფრო გავამრუდე!..
მაგონდება შენს სიტყვებში ჩანაწვეთი ცრემლის ჟღერა,—
იწვის გრძნობა დამწყვდეული, გული შხამით დაიფერა...

ვით სინაზე თეთრ ზამბახის, მზის ჩასვლის ჟამს თავდახრილის,
ვით სინათლე თეთრ ფოთლებში შუქად ჩამდგარ მთვარის ჩრდილის,—
სათუთია ჩემი გრძნობა, სულის წიაღს ჩაქარგული,
უფრო ნაზი, ვინემ ღამის თეთრი ცვარი შუქ-ასხმული.

ჩემი ფიქრი ვით ვადარო შენს უცოდველ ტკბილ ოცნებას?—
მწარე ცრემლით ვასაზრდოებ მე ჩემს სევდით მოცულს ვნებას;
მხოლოდ შენთან დაისვენებს ავადმყოფი ჩემი სული,
მაგრამ, ვაგლახ! ველარ გპოვე უჩინარი, მიმალული!..

— მე შენთან ვარ, შენი ფიქრის ყვავილებში ჩაკმეული,
ვით ეს ჩუმი სტრიქონები, შენს სიტყვებში დამწყვდეული;
ვით ზამბახის თეთრ ფოთლებში ჩაქარგული ღამის ცვარი,
შენს ოცნებას ვასაზრდოებ შენთან მყოფი, უჩინარი...

**ს. აბაშელი**

# ფერია—

ღმერთო, რა მშვენიერია
ოცნება საქართველოზე!
შეხე, ტყის ტურფა ფერია
როგორ სრიალებს მდელოზე!

შეხე, ის ეშმაკეული
როგორ აცეკვდა რხევით;
დავლურს დაუვლის წყეული,
მთას მოევლება ზევით!

შეხე, რა მოსაწონია,
როცა თავსა ჭხრის ქვევით;
მთვარეც კი დაუმონია
თვალთა ნაკვესის ფრქვევით!

მეც ხშირად გაუტაცნივარ
მაცდური ყოფა-ქცევით;
კლდე-ღრეში უტარებივარ,
შიშველი ხელის ცნევით!

ჭსურს ეხლაც გამიტყუილოს,
მახეტიალოს ეულად,
ჭალა-ტყის ქსელში გამაბას,
თვითონ კი გაჭქრეს გრძნეულად!



# ეპიგრამები

1

(№-ს)

ვარდის ფერი ხარ – არა ხარ ვარდი
ნაზი ხარ, მაგრამ არა ხარ ია,
სხივი სამოთხის შენ არ გაშუქებს,
სამოთხის კარი თუმც არის ღია.

2

(თ. დ-ს სურათზე)

რა რიგ უხდება ვულზე ყვავილი,
თმა ჩამოშლილი რა რიგად შვენის!..
გაუცინია... მარჯანთა შორის
გამოჩენილან კბილები ცხენის!

**კ. ჭიჭინაძე**

# სახალხო მღერალ-მომღერალნი



**აშული ჰაზირა თავისი დასტით**

(მისი 40წ. სააშულო მოღვაწეობის შესრულების გამო)

„შაირობა პირველადვე საბრძნისა ერთი დარგია“, ტყუილად არ უთქვამს სულხნათ დიდს შოთას და ამ მცნებას იქნება ისე ბეჯითად არსად იცავდნენ, როგორც ჩვენს სამშობლოში. არც ერთი დარგი ჩვენის მწერლობისა ისე არაა განვითარებული, როგორც მგოსნობა— ლექსთა თხზვა და შაირით მღერა-კამათი. თანამედროვე კალმოსან მწერალთ რომ გვერდი აუხვიოთ და ხალხს გადავავლოთ თვალი, დავინახავთ, რომ თვით ამ წერა-კითხვის უცოდინარ ხალხში მოშაირობა-მოლექსობა მეტის მეტად განვითარებულია: მწყესი-მეფანდურე, მესტვირე, მეურმე დაუდალავად გიმღერებთ მუსიკალურ, მაღალ მხატვრულ ლექსებით. ზოგჯერ იმ დასკვნამდესაც მიდიხარ, ლამის სთქვა, რომ თითქო წიგნური მოლექსეობა ჯერ კიდევ ვერ ასულა იმ სიმაღლემდე, რა სიმაღლეზედაც ხალხის ბუნებითი შემოქმედება სდგას. რაც დრო გადის და ხალხი მშობლიურ ნიადაგს სცილდება, თვითშემოქმედებაც კლებულობს.

ძველ საქართველოში მეტად გავრცელებული იყო აშულობა. თავისუფალი საქართველოს შვილნი, თვის დამოუკიდებელ ჯერ ქვეშ მცხოვრებნი, გარეშე მტერთა თავდასხმისაგან მოცლილნი უმეტეს შვება-ლხინს ეძლეოდნენ და მათი ნადიმები უსიმღეროდ, უშაიროდ არ თავდებოდა. შორეულ წარსულს რო თავი დავანებოთ, მეთვრამეტე საუკუნის მიწურულს ჩვენი

მგოსან-მოლექსენი თვით მომღერალნი იყვნენ; ბესიკი და სხვა მისი თანამედროვე მოლექსენი უმეტესად სასიმღერო მუხამბაზებს სწერდენ. ძველ საქართველოში ბევრი გამოჩენილი მომღერალ-დამკვრელი იყო. ერთი მათგანია მაგ. ერეკლე მეფის კარის მომღერალი გამოჩენილი მეჭიანურე საიათნოვა, რომელიც თავის ლექსებს დამღეროდა ქართულად (სწერდა განსაკუთრებით ქართულად); თათრულად და სომხურად. მან შექმნა ბევრი სასიმღერო ჰანგი და ლექსის ზომა. მას შემდეგ იყვნენ აშუღები: ჩამჩი მელქო, ქეშიშ ოღლანი, სეირანა, ალაჰვერდი, თუჯარა, დალაქ მურად, ქიოჩაგ, ქიჩიქ ნოვა, ბუდაღა და სხ. ზოგიერთმა მათგანმა 70-იან და 80-იან წლებამდე მოატანა. ყველა ესენი თითქმის განთქმული იყვნენ და უმეტესად ქართულად დამღეროდენ. ამათი სახელოვანი მემკვიდრეა ჩვენს დროში გამოჩენილი აშუღი აზირი რომელიც 70-იან წლების შემდეგ გამოჩნდა.



აშული ჰაზირა
აბრ. დავ. აბრამოვი

ვინ არის ჰაზირა? ვიდრე ამ კითხვაზე სრულ პასუხს მივუგებდეთ, აქ მოვიყვანთ მოკლე ავტობიოგრაფიას, ჩვენის თხოვნით თვით აშუღის მიერვე დაწერილს:

„მე დავიბადე 1845 წ. სოფ. შულავერში, ბორჩალოის მაზ. ყმაწვილობიდან ჩემი საქმე იყო ვენახში მუშაობა, ტყეში სიარული და გუთანზე მეხრეობა. წიგნის კითხვა ძალიან მეჯავრებოდა, არა ვსწავლობდი, მიუხედავათ იმისა, რომ მთელი შულავრის ყმაწვილები ჩვენს სახლში სწავლობდნენ წიგნსა, რადგანაც ჩემი უფროსი ძმა მასწავლებელი იყო. წრეს გადასული ცელქი და გაუტეხარი ვიყავი. დიდი დედა ჩემი იყო ქართველი ქალი, გარეჯელი ყანდარელის ასული თამარი. ათ წლამდე მის ხელთ ვიზრდებოდი ქართულად და სომხურისა არაფერი ვიცოდი. თხუთმეტის წლისა რო შევიქენ, თბილისში ჩამომიყვანეს და სირაჯთან დამაყენეს მოჯამაგირეთ. ამ დროს ქალაქში აშუღებს ჩვეულებათ ჰქონდათ ყოველ კვირაობით მარაქის მართვა. მეც ხშირათ მივდიოდი საყურებლად. აი, სწორედ აქედან ჩამენერგა გულში სიმღერების სიყვარული. ამ სიყვარულმა შემაყვარა შეძულებული წიგნის კითხვა. რადგანაც სიმღერები უნდა დამეწერა აშუღებისგან და მესწავლა. წერა ვისწავლე, მაგრამ ვაი იმ სწავლასა: ჩემს ნაწერს მე თითონ უნდა გავეგოდოდი, რომ წამეკითხა, თორემ სხვა ვერას გაიგებდა (თითქმის დღემდინაც ასეა). სამი წლის შემდეგ ჩემმა დედიდაშვილმა წამიყვანა მუშტეიდის ბაღში თავის დუქანში და ჩამაყენა დახლში. მაშინ იქ—ფერმაში—ერთად-ერთი დუქანი იყო. ამ დროს ბევრი სიმღერა ვიცოდი, ხმაც კარგი მქონდა და მუშტრებიც უფრო ჩემთვის მოდიოდნენ, მაგრამ დუქნის მოვალეობას კარგათ ვერ ვასრულებდი, რადგანაც ჩემი ფიქრი სულ სიმღერების და ჰანგების მოგონებაში იყო.

1874 წ. უკვე გამოჩენილი აშუღი ვიყავი. ყავახანაში დავკიდე დაწერილი მუდამა (გამოცანა), ძვირფასი შალიც ჩამოვკიდე ზედა, დავკარი ოცდა ხუთი მანათი ფული, და მოვიწვიე აშუღები საკამათოდ: ვინც იმ მუდამას გამოიცნობდა, ის ძვირფასი შალი და ფული იმისი უნდა ყოფილიყო და მე ნაჯობნი ვიქნებოდი. მთელი სპარსეთსა და ოსმალეთში რაც განთქმული აშუღები იყვნენ, მოვიდნენ, მაგრამ ყველანი დამარცხებულნი წავიდნენ. 1878—1879 წ-ში დავსწერე ოთხი პიესა („ჩვეულობა“, „აშუღი“, „უჩადი ქიარიმა“, და „ჯიბგირი“). ამათში მხოლოდ „ჯიბგირი“ ითამაშეს ორჯელ, მეორეები დარჩა დღემდის ცენზორის გამო. 1880 ში. თეატრის მუსიკად მე ვიყავ, ჩემი დასტით ქართულისა და სომხურისაც.

ჯერ ახლა რა არის თეატრის საქმე, რომ მაშინ რა ყოფილიყო? მაგრამ მაინც მე ვამსებდი თეატრს იმნაირ ხალხით, რომელმაც არ იცოდა რა არის თეატრი. ამავე დროს მე მყვანდა სამოცდა ხუთმეტი შეგირდი ქართველი, სომეხი, თათარი, ბერძენი საქართველოს სხვა და სხვა მცხოვრებნი—გურული, თუში, ქისტი, ქურთი და სხვა. ამათ ყველამ იცოდნენ წმინდათ ქართული და სომხური ენა, შევჭურვე ესენი სასარგებლო და გამაღვიძებელი ლექსებითა, დავფანტე მთელ საქართველოსა და კავკასიის ყოველ კუთხეებში, ქალაქებსა და სოფლებში, რუსეთის ყოველ აგარაკში როსტოვ-ციმბირამდე.“

როგორც აშუღმა, დიდი სამსახური გაუწია მდაბიო ხალხის გამოფხიზლებას. მართალია

ზოგი მისი ლექსი მაინც და მაინც კეთილხმოვანი არაა, მაგრამ ყველა მისი სიმღერა—მუხამბაზი იდეურია, ხალხური სიბრძნით მოსილი და მსმენელ-მკითხველს ურთსავით სცემს თავში—რომ შეიგნოს თვისი ვინაობა, ადამიანობა და მოქალაქეობა. იგი სწერდა ქართულად და სომხურადაც. ქართულად გამოცემულია: 1. „ბრძოლის პოემა და პლაცის სიმღერა“, ვგონებ 1877 წ. 2. „სხვა და სხვა ლექსები და სიმღერები“, 1890 წ. 3. „ბელადი“, 1904 წ. 4. „პატარა აშუღი“, 1911 წ. 5. „უბედი“, 1911 წ. „გამგელებული ბატკანი“ 1914 წ. და სხ. გარდა ამისა რამდენიმე წერილი და მოგონება აქვს დაბეჭდილი 1892 წ. „ივერია“-ში და შემდეგ „კვალში“. სწერს სომხურადაც „ტარაზ“-„ალბიუმში“

ჭაზირამ ძველებური მღერის კილო გადააკეთა, ახალი ჭანგები მოიგონა, დაამუშავა, რაიცა თბილისისა და და სხვა დაბა-ქალაქთა მომღერლებს შორის გავრცელდა.

ქართულ სიმღერების ყაიდაზე დაამუშავა სომხური სიმღერები, მაგ. „სულო ბოროტო“-ს, „ბუნდოვან გულს“ და სხ. ხმები სომხურ ლექსებს შეუწყო.

სამოცზე მეტს ბრმას ასწავლა მღერა-დაკვრა, მით სამუდამო ლუკმა-პურის საშუალება გაუჩინა და ქუჩის გარყვნილებას აცდინა..-

საჭიროა აქვე აღვნიშნოთ, რომ თბილისში საიათნოვას ძეგლის დადგმას დიდი ამაგი დასდო ჭაზირამ თავის დასტით, საიათნოვას სახელობის ყავახანა დააფუძნა თბილისშივე, სადაც თავის დასტით მღერის ხოლმე სხვა მრავალ შინაარსიან იდეურ ლექსთა შორის თვით ჭაზირა და მისი „მოწაფენი“ მთელი ათეული წლების განმავლობაში მღეროდენ და მღერიან:

„მოდი, შვილო, ჩემთანა, გულში რად
დამკარ დანა?
საქართველოს შვილი ხარ, იცან შენი ქვეყანა!.
სახლი იქ გაიკეთე—დედა-ენა გაიკვეთე,
მხოლოდ არ დაივიწყო, მამა პაპის სიკეთე...
მათ გასწირეს თავები ნახეს დღენი შავები,
შენთვის დახოცილების ილოცე საფლავები...
მოიგონე სულ ძველი: თამარ მეფე,
მხარგრძელი,
გიორგი ბრწყინვალე და დავით აღმაშენებელი...
მამულისთვის კვდებოდე, მტრის პირდაპირ დგებოდე,
განათლებულ ქვეყნებში, კაცად იხსენებოდე..
არ შეშინდე ომისა—მტარვალთ წინა
დგომისა,
ჰაოს-ქართლოსის სისხლო, შვილი ხარ
თარგომისა.
ჰაზირს ტანჯვა მაკმარე, მამას, ძმას
დაეხმარე:
ოდეს ეს შეასრულო, საფლავში ჩამახარე!“

მოსახსენებელია აგრეთვე: „აღზრდევ თამარ დედოფალო, სტირის შენთვის საქართველო“, „შავი ზღვის ნაპირას ჩვენი სახლები“ და სხ.

გასულ წელს აპირებდენ მისი სააშუღო მოღვაწეობის 40 წლის თავის დღესასწაულს, მაგრამ ომიანობის გამო განზრახვა ჩაიშალა.

თუ როდისმე ძმობის, სიყვარულის, და მამულის ტრფიალების გრძნობის გამღვიძებელთ სახელი და დიდება ჰქონიათ—ეს კი მუდამ ასე იქნება—მათ რიცხვში ჭაზირაც საპატიო ადგილს დაიჭერს, როგორც კაცთა შორის უკეთილშობილეს გრძნობათა გამავრცელებელი ტკბილი შაირ-ხმებით.

**იოსებ არიმათიელი**



ავ. აბესაძე
ქართ. გაზ. თანამშრომელი (დაჭრილი)





ძმანი ანდრონიკაშვილნი
პორ. დიმიტრი (მოკლულია), კაპ. მიხეილ (დაჭრილია)

# ევა

ჰე, მასი ბრალი,
არის დამთვრალი:
ედება მკრთალი
ტრფობისა ალი..
  უკრთის სხეული,
  მინარხეული;
  ტურფაც გრძნეული—
  ტურფად ხეული.
ტრფობა უნდება—
ცეცხლი უნდება,
ვერვინ უხვდება,—
გული უკვდება.
  ფიქრებს ეძლევა,
  ფიქრიც ელევა...
  ადამ ეწვევა
  უყვირებს—„ევა!

შენსკენ შრიალებს,
თვალს აწრიალებს,
ტანს ატრიალებს
და ასრიალებს“...
  ევა ხელს ჰკიდებს,—
  გული იწივლებს:
  ნუშტს მხამში ივლებს,
  წივის, ცას იკლებს..
ევა ამშვიდებს,
და მას ახვენებს
თვის ბროლის ქილებს,
მკერდზე აქნიდებს...
  გული შეშლება,
  ნახვით შეთვრება..
  ქალი—შვენება
  კი ევედრება:

„გულო, აქ ამო,
არის სადამო,
არ მსურს გაწამო,
მოდი გაამო“..
  გულსა აცდუნებს,
  ზე აცურებს,
  ტანს დააპურებს,
  გრძნობას არწყულებს...
გულიც ნუშტს აცმევს,
გულს და მხამს ასმევს,
ლამაზ ტანს ანგრევს
ცბიერ წუთებს აძლევს...
  ქალი ნებდება...
  ჰკვნესს და არ—კვდება...
  გული ქვავდება
  ჰკბენს და... თავდება.

**დ. კოპალი**

# განახლებული სული

თვალთ დაბნელებული იყო ლოგინზე. ვიდრე სული ხორცს გაეყრებოდა, სიკვდილის წინეთ, უკანასკნელად მიმოა ლო თვალი გან- ვლილ ცხოვრების გზას და აღმოჩნდა, რომ წარსულში სიამოვნებით მოსაგონი არა იყო რა. შესძაგდა სიცოცხლე მიეცა სიკვდილს უსაყვედუროთ.. ° მოაგონდა ერთი მთხოველი. მოაგონდა ზამთრის ღამე, როდესაც ყრუ, უსიცოცხლო ქუჩაზე მოწყენილი მიდიოდა. ყველას ეძინა ნეტარების ძილით, გარდა იმ მთხოველისა, რომელიც ქვეყნისაგან მივიწყებული იჯდა ქვაზე ქუჩის პირად და, აუტანელ სიცივის გამო, ძიგძიგებდა. მოაგონდა აბურძგნული, ჭუჭყისაგან გაგლესილი მისი თმა; მოღლილი, მოქანცული სახის გამომეტყველება, ჩავარდნილი, საყვედურით სავსე თვალები. მოაგონდა დაცვეთილ ფეხთსაცმლიდან გადმოყრილი, ყინვისაგან დამძრალი შავი თითები. მოაგონდა ყოველისფერი....

მოაგონდა უსაზღვრო მადლობით მასზე მიშტერებული მთხოველის თვალები იმ წუთს, როდესაც სიბრალულით აღძრული სათბურს იხდიდა საწყალობოთ და—მომაკვდავის გულში სიცოცხლის ნატვრამ იფეთქა. „რათა, რათ არ ვიყავ უხვი მოწყალე დავრდომილ მოძმეთათვისო“ გულდათუთქულად წაიდუდუნა და, თითქო ! სიკვდილს შეექიდაო, წამოწევა დააპირა, რომ აღმოხდა სიკვდილის წინეთ განახლებული სული..

**გ. დათიაშვილი**

# ოფ უ უ...

(გურული სცენა)

თელი დუნია მერექეთი გეიძახდა, „მასტერსკოის“ მუშეპი და „სეკრეტარი“ ორივე ერთიავო. ვიფიქრე: რა კაზახი ვარ, თუ იქინე არ დავდექითქვა. გავაფორმეულე უოლფერი რაც კი მებადა; ჩუუთვალე ვინცხა პრატენქციაავო და მესამე დღეს მპუნვა მოვადინე შით,

ვიმუშავე ხუთ თვეს: კაი იყო, ქე მემეწონა ხვთის წინაში. მარა ხუთი თვის მერე რომ ანთება დამადგა, იმფერი თქვენს მოსიავეს. რომ წავალ ბოშო, დილა უთენია, ხუთ საათზე—შვადამის თორმეტ საათამდი ვინ გამოგიშობს! რომ სთქვა რამე ცხვირს მოგიწირეხებენ. ახლა სხვა დროა, ასტე უნდა ვიმუშავოთ. ყოველფერს თავი დაანებე: ცოლ-შვილმა გადამიცნო, ბოშო, ცოლ-შვილმა. ბაღნებმა ბიძიას ძახილი დამიწყო.... ცოლმა—შენ ვინ ხარ, ამფერ დროს რომ მობლაცუნებო!.. დედავ, აქანე დამდგარვიყავი, ძმია, კი არა სულ პრასა მეპუამა—არ მერჩიაა!. მა კიდო აფერი. ვიფიქრე, შობამდი ვიმუშავებ, ანასიის და აბრაგიძი ჩემ საქმესთქვა.. საშობოთ წავალ იმერეთში და ძან კაი დროს გავატარებიებ ცოლ-შვილსთქვა. მარამ არ შეგჭამოს ჭირმა გოცდასამი ქრისტეშობისთვეს გამუაკრეს აბივლენია. „ნი კუდი .. ნი პოეხაიტო... ცელი პირაზდნიკი . რაბოტაიტო .. ბიდეთები ნიკაკოი ნი პალუჩაიტო“, და ჩემი გამოწკიპარტებული ხურესუნი ქე არ დამირჩა აქანე გაბითქინებულიი.. ოფ უ უ,.. ამფერ ცხოვრებას!..

**ა. ძაძამია**



**პოდპ. ალ. პავლეს ძე მოსიძე**
ქ. ქუთაისის მოურავის მოადგილის შვილი, მოკლული პოლონეთში გერმანელებთან ბრძოლის დროს.

# და დღესაც გვსურს..

მახსოვს...

ახალწლის ღამე იყო...

თოვლის ფიფქებით ზეწარ გადაფარებულ სარეცელს დამზგავსებული ხმელეთი ცას უმანკო ქალსავით შესცინოდა...

ოთახის ფანჯრებიდან შობის ხის მრავალფეროვან სანათურის სხივები გადმოპარულიყო და თოვლზე, კეკლუც ქალ-ვაჟსავით, ცქრიალებციმციმებდა... ხის გარშემო მოცეკვავე ბავშვები სამხიარულო ჭანგს გამოსცემდნენ და ღამის მიწურულში ახალწლის დილას ეგებებოდნენ..

დრო შეიცვალა..

თუმცა ახალწლის ემბლემა წუხელისაც ბჭყვრიალებდა, მაგრამ ყველა მდუმარებდა, სევდა ვარამი ბავშვების გულსაც მოსდებოდა..

...და საათმა თორმეტჯერ დაჰკრა...

გადასწყდა... ბავშვებმა ვეღარ მოითმინეს, ერთმანეთს გადახედეს, წამს ხის ირგვლივ ფერხული ჩააბეს და მგზნებარე ხმით დასძახეს:

ჩვენ სამშობლოს ჯანღი აკრავს,
მდუმარებს მთა, ტყე და ველი;
სისხლი მიჰქუხს, მაგრამ მაინც
ჩვენ არ გვაკრთობს სევდა მწველი
და დღესაც გვსურს, საიმედოთ,
მოგილოცოთ ახალ წელი...

**მიხ. კიაზოშვილი**

# ღია წერილი

(„ქართული თეატრის ისტორიის" შედგენა-გამოცემის გამო)

სამოც წელიწადზე მეტია, რაც ჩვენს თანამედროვე თეატრს საძირკველი ჩაეყარა, საუკუნეზე მეტი—რაც პირველად ქართველთა მეფის სასახლეში ქართული ორიგინალური პიესა იქმნა წარმოდგენილი ცნობაა, ვითომც ქართული სახიობა ძველადაც ყოფილიყოს, მაგრამ ჩვენ არა თუ უძველესი, განვლილი ნახევარი საუკუნის ამბებიც-კი რიგიანად არ ვუწყით...

მრდის ძვალი, მამა-პაპათა ნაკვეთები დროჟამისაგან მტვრით იფარება და მათ მოსაგონებლად რაიმე ძეგლი ჯერაც ვერ აღგვიმართავს..

ჩვენს დრამ. საზოგადოებას ჰქონდა მდიდარი არქივი, მაგრამ იგი შარშან ულმობელმა ცეცხლმა შთანთქა. საკმაოა ხუთიათი წელიწადი გავიდეს, რომ ბევრი რამ საყურადღებო, რაც ჯერ კიდევ დღეს ჩვენ ზეპირად გვახსოვს ანუ რის საბუთებიც შეიძლება შევკრიბოთ,—სამუდამოდ გაჰქრეს ..

ქართული თეატრის ღვაწლი ჩვენი სამშობლოს გათვითცნობიერებაში იმდენად დიდია, ჩვენის ერის შედუღება-გაერთიანებაში ევოდენი ამაგი მიუძღვის, რომ მიუტევებელი ცოდვა იქნება, თუ ღირსეულად არ ავსწერთ და არ დავასურათხატებთ ამ ჩვენი უწმიდეს ტაძრის თავგადასავალს, მის თანდა თან ზრდა-განვითარებას...

ამ მოსაზრებით ჩვენმა რედაქციამ (ჟურ. „თეატრი და ცხოვრება"-მ) გადასწყვიტა გამოსცეს „ქართული თეატრის ისტორია", დაახლოვებით შემდეგი შინაარსით: ა. საზოგადო მიმოხილვა; ბერიკობა; ბ. თეატრი უძველესი დროიდან მე-XVIIIსაუკ დასასრულამდე; გ. მეცხრამეტე საუკუნე: პირველი ნახევარი, მეორე ნახევარი; დ თანამედროვე თეატრი; ე. ქართული დრამის ისტორია; ვ. მუდმივი სცენის აღორძინება; ზ. დრამატიული საზოგადოებანი (თბილისსა და სხვაგან); თ. წარმოდგენები დაბა-სოფლებში; ი. სახალხო თეატრი; კ. დრამატიულ ნაწარმოებთა ნუსხა; ლ. ბიბლიოგრაფია; მ. კრიტიკული განხილვანი, ბიოგრაფიები, დახასიათებანი,

მოგონებანი. წიგნი დასურათებული იქნება მსახიობთა, დრამატურგთა, სათეატრო მოღვაწეთა, სცენებისა, ჯგუფებისა, ტანისამოსის, ტიპებისა და სხვა სურათებით. ყოველ-განყოფილებას საგანგებო მოწვეული სპეციალისტი დაამუშავებს. წიგნის საბოლოვოდ დამუშავება იკისრეს ი. გედევანიშვილმა, ივ. გომართელმა, ივ. მაჭავარიანმა და ვახ. ღამბაშიძემ ცნობილ მწერალ-მოღვაწეთა დახმარებით. წიგნი დაახლოვებით 500-600 გვ. იქნება, მოზრდილი ტანისა.

წიგნი რომ უფრო სრული და, რაც შეიძლება, უნაკლული იყოს, საჭიროა ყველა ჩვენმა მწიგნობარმა და ჩვენის თეატრის გულშემატკივარმა ხელი შეგვიწყოს ამ წიგნის შედგენა-გამოცემის საქმეში. ამიტომ უმორჩილესად ვთხოვთ ყველას, ვისაც რა მოეპოვებოდეს: მოგონება, სურათი, ნახატი თუ სხვა, მოგვაწოდოს დროებით: ყოველ-გვარ მასალას საგანგებოდ შემდგარი სარედაქციო კომისია განიხილავს, ზოგიერთი მასალით ისარგებლებს, ზოგს, თუ საჭიროდ სცნო, სრულად დაბეჭდავს ავტორისავე ხელმოწერით. (სასურველია, თუ ვისმეს უწერია რამე ქართული თეატრის შესახებ და დაუბეჭდია—წყარო გვიჩვენოს) ყოველივე მასალა უნდა გამოიგზავნოს ჩვენს სახელზე: Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба" Іосифу Имедашвили, ზედწარწერით: »ქართული თეატრის ისტორიისათვის«.

**იოსებ იმედაშვილი**

# ქართული სასცენო ხელოვნება და მუსიკა 1914 წ.

---

ჩვენის თეატრის ცხოვრებაში გასული წელი ბევრის მხრით იყო საყურადღებო: დიდ დაბრკოლებათა შემდეგ, ქართ. დრამ. საზოგადოების თაოსნობით შესდგა სრულიად საქართველოს სცენის მოღვაწეთა პირველი ყრილობა, რომელმაც უმაგალითო საქმიანობით იწარმოვა 8 15 თიბათვეს. სხდომაზე წარმოდგენილ და წაკითხულ იქმნა რამდენიმე საყურადღებო მოხსენება, რომელთა შესახებ შესაფერი დადგენილებანი შეიმუშავა ყრილობამ; სხვათა შორის, გამოარკვია სახე ჩვენის სცენის მოღვაწეთა, ახალ მიმართულებას საფუძველი დაუდო და სცენის მუშაკნი, თვის მოწოდება-დანიშნულების ღრმა შეგნებით აღფრთოვანებულნი, საქართველოს დაბა-სოფლებისკენ—თავთავის ადგილებისკენ დაიშალნენ, უფრო ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის, მაგრამ შუა ზაფხულში დაწყებულმა საერთაშორისო ომიანობამ მეტად შეაფერხა მათი მოქმედება...

**ქართ. დრამ. საზ. გამგეობამ**, წინა 1913-14 წ. სეზონის საუცხოვო ნაყოფით და სრ. საქ. სც. მოღვაწეთა ყრილობის დადგენილებით წაქეზებულმა, ახალი დასი შეადგინა, უმეტესად ახალგაზრდა ძალთაგან, სასცენო ხელოვნებაში ახალი კვალის გავლებას აპირებდა, მაგრამ სეზონის დაწყებისთანავე (გამართა მხოლოდ ერთი წარმოდგენა „მსხვერპლი") თეატრი დაეწვა (25 ენკენისთვეს). მიუხედავად ამ ზარალისა, გამგეობამ არტ. საზ. თეატრში დაიწყო წარმოდგენების მართვა, მაგრამ საზოგადოების გულციობამა და უსახსრობამ აიძულა დასი დაეთხოვნა. დასის დათხოვნა საზ. კრებამაც დაადასტურა. გაჭირვებაში ჩავარდნილმა დასმა შეადგინა ამხანაგობა და რამდენიმე წარმოდგენა გამართა სახ. სახლში, მხატვრულ-ხელოვნურად მოწყობილი. ამ წარმოდგენებს ხალხი ბლომად ესწრებოდა.

**ქუთაისის დასი** დიდის წარმატებით მუშაობდა (ქუთ. დრამ. საზ. თაოსნობით, ვ. შალიკაშვილის რეჟისორობით და ვ. გუნიას გამგეობით). დასი შემდგარია უმთავრესად დამსახურებულ მსახიობთაგან. ომიანობამ თითქოს ხელიც შეუწყო, კვირაში ოთხი-ხუთი წარმოდგენა იმართებოდა, შეჭრელებული რეპერტუარით. იდგმებოდა კლასიკური, ისტორიული და თანამედროვე პიესები, ორიგინალური და ნათარგმნი. თეატრი თითქმის მუდამ სავსე იყო და ხალხიც კმაყოფილი რჩებოდა.

**ბათუმის დრამატ. საზ. გამგეობამ**, რომელიც წინა სეზონში სახელოვანად აწარმოებდა საქმეს, ომიანობის გამო სეზონი ვერ დაიწყო, თუმცა დასის მოწვევას ცდილობდა.

**ბაქოს დრამ. წრემ**, ქართულ სკოლასთან არსებულმა, დიდი მუყაითობა და შოსრ გამჭვრეტე-

ლობა გამოიჩინა: რეჟისორად მიიწვია სცენისა და მწერლობის კარგად მცოდნე შალვა დადიანი, მოძრავი დასის ხელმძღვანელი და ბათუმის დრამ. საზ. ერთი შემქნელთაგანი. აქ წარმოდგენები ყოველკვირა იდგმებოდა სცენის მოყვარეთა და მსახიობთა დახმარებით. ხალხი თითქმის მუდამ ბლომად ესწრებოდა.

**დაბა ჭიათურამ**, წინა წლების მიხედულებისამებრ, მოიწვია დასი ვანო ბარველის რეჟისორობით, მაგრამ ომიანობით წარმოების შესუსტების გამო, დასი დაითხოვა. წარმოდგენების მართვას შეუდგა ვანო ბარველი სცენის მოყვარეთა მონაწილეობით.

**სახალხო სახლში** მომქმედი წრე თვის რეჟისორ-დასით დიდი მუყაითობით მუშაობდა, კვირაში თითქმის ორ სამ წარმოდგენას სდგამდა, იდეურის რეპერტუარით, სახალხო—იაფ ფასებით (4 კ.-50 კ.) წარმოდგენები თითქმის მუდამ მხატვრული იყო და ხალხიც დიდძალი ესწრებოდა ხოლმე: ამ წრის მოქმედება, ჩვენის ხალხის გათვითცნობიერებაში, განუზომელია.

**ავლაბრის სახალხო თეატრში** სცენის მოყვარეთა დასი ი. ივანიძის რეჟისორობით და გამგეობის თაოსნობით ყოველ-კვირა ჰმართავდა წარმოდგენებს შეჰრელებულის რეპერტუარით.

**ნაძალადევის სახალხო თეატრმაც**, რომლის პირველმა ნაბიჯებმა პირუთვნელი ქება გამოიწვია, ბოლოს შეაფერხა საქმიანობა, მაგრამ საზამთრო სეზონის დასაწყისში გაანახლა მოქმედება ჯერ შ. საფაროვისა და შემდეგ ს. სვიმონიძის რეჟისორობით. წარმოდგენები მაინც და მაინც მხატვრულად არ იდგმებოდა.

**ავჭალის აუდიტორიაში**, რომელმაც საძირკველი ჩაუყარა სახ. წარმოდგენებს, ი. ძნელაძისა და ვ. დ. ლაშქარაშვილის თაოსნობით განახლდა მოქმედება ი. ხაშმელის რეჟისორობით და სამი თუ ოთხი პიესაც დაიდგა.

**ხარფუხის** სცენის მოყვარეთა ჯგუფს აუდიტორია ხელიდან გამოაცალეს და შემთხვევითი წარმოდგენები იმართებოდა.

**საბურთალოზე** უკვე დრამ. წრე შესდგა დამტკიცებულის წესდებით, მაგრამ მოქმედება კი ვერ დაიწყო.

**ქართული წარმოდგენები** იმართებოდა „ახალ კლუბში", „ნოქართა კლუბში" და სხ.

საზოგადოთ სახალხო თეატრის ასპარეზი გაფართოვდა, გაჩნდა თეატრის მუდმივი მრევლი: სახალხო თეატრები თითქმის მუდამ ხალხით სავსე იყო, სახალხო თეატრებში საზოგადოებაც (საშუალო ინტელიგენცია და წვრილი ბურჟუაზია) ესწრებოდა მაშინ, როდესაც „არტ. საზ. თეატრში" თითქმის ცარიელი იყო ხოლმე. ეს გარემოება ერთხელ კიდევ ნათელ ჰყოფს, რომ ჩვენში მხოლოდ კარგათ დაყენებული სახ. თეატრი იზიდავს და საჭიროა თეატრის სრული დემოკრატიზაცია გახალხოსნება.

ხალხი განსაკუთრებით მშობლიურ რეპერტუარს ეტანებოდა.

სახ. თეატ სცენაზე ჟამის-ჟამად მონაწილეობდენ ხოლმე ჩვენი დამსახურებული მსახიობნი ვ. აბაშიძე, ეფ. მესხი, ელ. ჩერქეზიშვილი, ვ. გამყრელიძე, კ ყიფიანი და სხ

გასულ წლის დასაწყისს გადახდილ იქმნა კ. დ. ყიფიანის 45 წ. მოღვაწეობის იუბილე. აპირებდენ ელ. ჩერქეზიშვილის იუბილესაც, მაგრამ ომიანობის გამო გადაიდო

სამშობლო დრამატურგიამ ბევრი ვერაფერი შეიმატა, აღსანიშნავია მხოლოდ დ. კასრაძის „მეფე არლეკინი", ტრ რამიშვილის „დედინაცვალი", გარდელის გაწყვეტილი სიმი", ირეთელის „ბედნიერი დღე" (სუყველა წარმოადგინეს), ი. გედევანიშვილის „სინათლე"— ნაწილი მეორე, ი. გომართლის „იასონის ოინები", ს გლახაშვილის „ცხოვრება"

**ჩვენმა ეროვნულმა მუსიკამაც** სათვალჩინო ნაბიჯი გადასდგა. უფრო ნათლად გამოჩნდნენ ჩვენი კომპოზიტორნი. გაიმართა ერთი ორი კონცერტი უდროვოდ გარდაცვლილ ჭილაშვილის ნაწარმოებთა, დ არაყიშვილმა დაამთავრა თავისი ქართული ორიგინალური ოპერა „თქმულება შოთა რუსთველის შესახებ", დასწერა რამდენიმე სამუსიკო ნაწარმოები, „ახალ კლუბში" გამართა ორი კონცერტი. ზ. ფალიაშვილმა დაამთავრა ოპერა „აბესალომ და ეთერი", კ. ფოცხვერაშვილმა გამართა სამი მეტად საყურადღებო სასულიერო-საერო, უმეტესად საკუთარ ნაწარმოებთა, კონცერტი: ერთი მეფის მოადგილის სასახლეში, მეორე არტ. საზ. დარბაზში, მესამე სახალხო სახლში, სადაც ლექციაც წაიკითხა. სათვალჩინო ამაგი დასდეს სამშობლო სახალხო ჰანგების გავრცელებას მ. კავსაძის, ქავთარაძის, ლოლუას, გოძიაშვილის და სხ მუშა-ხელოსანთა გუნდებმა. ნიკ სულხანიშვილმა გრამოფონით ჩასწერა ხალხური სიმღერები, ევა ბრიუნელმა, რომელიც „ახალ კლუბში" ლოტბარობდა. კახეთში მოგზაურობის დროს შეჰკრიბა ადგილობრივი ხმები და სხ.

ყველა მუსიკოსნი მასალებსა ჰკრებენ და ეროვნულ ჰანგებს ნოტებზე ამუშავებენ. ეს მუშაობა ნათელ ჰყოფს, რომ ქართულ მუსიკას მალე შეეძინება ვრცელი მუსიკალური ორიგინალური ნაწარმოები. ამის თავდებია ჩვენთა კომპოზიტორთა და მუსიკის მოყვარულთა პირველი ნაბიჯები.

მ—ე

## სათეატრო საქმე პროვინციაში 1914 წ.

საეატრო საქმე ქალაქებიდან დაბა-სოფლებშიაც გავრცელდა. დაბა-სოფლის საზოგადება წარმოდგენებს ძალიან დაეწაფა ახლა ისეთი დაბა არაა, რომ ზაფხულობით წარმოდგენების სეზონი არ იყო მოწყობილი ხშირად იმართება წარმოდგენები სოფლათაც. ბევრს სამკითხველოს თუ სხვა კულტურულ დაწესებულებას წარმოდგენების გამართვისაგან შემოსულ ფულით უდგია სული:-კულტურულ დაწესებულებას რომ სალსარი შემოელევა, მის საშოვნელად წარმოდგენას მართავს.

წარსულ წელს კიდევ უფრო ხშირად იმართებოდა წარმოდგენები, ვიდრე წინა წლებში.

წარმოდგენების საქმეს თითქმის ხელოვნების არ მცოდნენი განაგებდენ-და ხშირად ხელოვნების წმინდა მიზანს ფეხქვეშ თელავდნენ.

საქმის ასეთ გარემოებას წარსულ წელს მიექცაყურადღება. პრესის ფურცლებზე ხშირად შეეხენ ამ საკითხს. სცენის მოღვაწეთა პირ. ყრილობამაც იქონია ამ საკითხზე მსჯელობა ესცარიელ სიტყვებად დარჩა და საკვირველიც არაა, რომ ამ მხრით მდგომარეობა შეუცვლელი დარჩენილიყო პიესისა და ენის დამახინჯებას და მით საზოგადოების აბუჩად აგდებას და ავტორების სახელის შელახვას წარსულ წელსაც ქონდა ადგილი პროვინციის სცენაზე. გონიერ ადამიანს და თეატრის გულწრფელათ მოყვარეს პროვინციაში წარმოდგენებზე დასწრება შარშანაც ტანჯვის მეტს არას გვრიდა. ვისურვოთ ამ მხრით წელს მაინც გაუმჯობესებულიყოს საქმე.

**აქილესი**

# ქართული სახიობა

**ქართ. მ ახ. ამხანაგობამ** ალ. წუწუნავას რეჟისორობით პარასკევს, 26 ქრისტეშ. სახ. სახლში წარმოადგინა ავ. ცაგარლის „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“, კომ. 3 მოქ., და „ოთხი იმერელი“, ვოდ. 1 მოქ. ორივე პიესა ცოცხლად და მხატვრულად იქმნა წარმოდგენილი. „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“-ში განსაკუთრებით კარგები იყვნენ ვ. აბაშიძე (ავეტიქა), ელ. ჩერქეზიშვილი (კატინე), გ. ფრონისპირელი (ნიკო ყურაშვილი), ვ. არაბიძე (კოხტაია), ალ. იმედაშვილი (გიქუა), ალ. ყალაბეგიშვილი (ფინხულა), პ. კორიშელი (დ. გ. ჯამბარაშვილი) და მ. ჭიაურელი (ილუა). კარგად ასრულებდენ ს. ბუჟანიშვილი ორომსეს და ბ. ბეგლარიძე არტემ ივანიჩს. სოფლის გოგოები მაინც და მაინც ისეთები არ იყვნენ, რომ ქალაქის ბიჭები დაეფეთებინათ: თითქოს ცომას საზელად ფქვილის ცრაში არიანო, ვეღარ ისე უშნოდ აესვიცნა პირის სახე ქართლ-კახეთის სოფლებში უფრო სხვა რიგი საქორწილო გოგოები.

„ოთხ იმერელში“ შეუდარებელი იყვნენ პ. კორიშელი (ბასილა) ი. ზარდალიშვილი (სტრიფონა), ვ. არაბიძე (ზალიკა) და ალ. წუწუნავა (ნიკოლოზა)

წარმოდგენას დიდძალი ხალხი დაესწრო.

**წინამძღვარ -- ი**

**დ. ხაშურში** 27-ქრისტ. საკუთარს სათეატრო შენობაში, ხაშურის ქართულმა დრამატ. წრემ გამართა მორიგი ქართული წარმოდგენა. ითამაშეს: „ბატონი და ყმა“ დრ 3-მ. შალვა დადიანის მიერ გადმოკეთდა „მოულოდნელი შემთხვევა“ ვოდ. 1 მოქ. მეზუროვისა. მონაწილეობდენ: ქ. ქეთო კალაძე, ბ. ბ. კორძაია, ქუთათელაძე, კვალიაშვილი, ძნელაძე, ხოზბეროვი, ცხილაძე, ტატიშვილი და სხ. როლების უცოდინარობით და მხატვრულის მხრივაც მეტათ კოჭლობდა, ზოგიერთ მოთამაშეთა გამოკლებით. ძლიერ უფერულად ჩაიარა, ისედაც მეტად უშინაარსო ვოდევილმა „მოულოდნელმა შემთხვევამ“ და რომ იმერლის როლის შემსრულებელს ბ ალ. კორძაიას არ გამოეკეთებინა, მაყურებელთ უკმაყოფილებას საზღვარი არ ექნებოდა. 4 იანვარს იდგმება: „ამ დროის გმირები“ დრ. 4 მოქ. ბაქრაძისა და მოკლე ხანში „სამშობლო“-ერისთვისა.

**ნიკო გურული**

# წვრილი ამბები

**ქართული თეატრის ასაშენებლად** ჩვენმა რედაქციამ საალმაშენებლო კომიტეტს გადასცა დღემდე რედაქციაში შემოსული 128 მან. და 20 კ.

**სალიტერატურო დილა** გაიმართება ახალ კლუბში დღეს 4 იან. ქართ, დრამ. საზ. სასარგებლოდ. მგოსანი ალ. შანშიაშვილი წაიკითხავს თავის ახალ ღრმა—პოემას „ქალი გრძნეული“, რომლის წაკითხვის შემდეგ კამათი გაიმართება. ეს წარმოდგენები ჩვენს ჟურნალში დაიბეჭდება.

**კომპ. დ. არაყიშვილის ნაწარმოებთა** ახალი ტომი იბეჭდება მოსკოვში. შეიცავს 225 ქართულ სიმღერასა (ნოტებზე) და 50 საინსტრუმენტო მელოდიას.

**„ახალმა კლუბმა“** წ კ. საზოგადოებას შესწირა 800 მან. ფული უკვე გაუგზავნა გამგეობას.

**ნაძალადევის თეატრს** 100 მან. დახმარება აღმოუჩინა ქალაქის თვითმართველობამ.

**ელ. ჩერქეზიშვილის საბენეფისოდ** 7 იანვარს სახალხო სახლში მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილ იქმნება „ორი ობოლი“.

**დაიბეჭდა და ცალკე გასასყიდად გამოვიდა** იოსებ იმედაშვილის გამოცემანი: 1) „ჯიუტები“, მოთხრობათა კრებული დავ ნახუცრიშვილისა, 118 გვ. ავტორის სურათით. ფ. 30 კ.; 2 „სინათლე“—ნაწილი მეორე, ზღაპ. ფერია 3 მოქ., 7 სურ. ი. გედევანიშვილისა. ავტორის სურათით, 63 გვ. ფ. 25 კ..; 3) „ცხოვრება“, პიესა 3 მოქ, ს. გლახაშვილისა, 50 გვ. ფ, 20 კ.

**რედაქციამ მიიღო** იასე რაჭველის მოთხრობა „მარიანნა“, სურათებით ფ. 15 კ.

**„სინათლე სომხურად გადათარგმნა“** მსახიობმა გ. გედევანოვმა—გ. ვ. მირალიანმა. პიესა მოკლე ხანში საცენზურო სამართველოს წარედგინება ნებართვის ასაღებად. მალე ცალკე წიგნად გამოიცემება სურათებით.

**მსახიობთა ამხანაგობის** წარმოდგენები გაიმართება იანვრის 7, 13, 19, 23 და სხ

**საბურთალოს სახალხო სახლის** სცენა უკვე გაკეთებულია, ამ კვირია დეკორაციებს დაამზადებენ. განათებული იქნება ელექტრონით. კვირას იანვრის 4 დილას 10 საითზე დანიშნულია რეპეტიციები და ამ მოკლე ხანში წარმოდგენებიც გაიმართება.

**ჩვენი ფოსტა**

**ხონს. გ. მ**-ს. დაიბეჭდება. გთხოვთ განაგრძოთ და „რომის იმპერიის თეატრის შესახებაც მოგვაწოდოთ.

**იქვე ც-ნ**-ს. დაიბეჭდება.

5 855

წელიწადი მესამე

# მიიღება ხელმოწერა 1915 წ.

ყოველკვირეულ სათეატრო, სალიტერა-ტურო, სახელოვნო და საზოგადოებ-რივ ჟურნალ

წლიურად 5 მ. ნახევარი წლით 3 მან.

# „თეატრი და ცხოვრება"-ზე

ჩვეულებრივის პროგრამით **ივ. გომართელისა** და **იოს. იმედაშვილის** რედაქციით,

**იოსებ გედევანიშვილის, ივანე მაჭავარიანის, ვახტანგ ღამბაშიძის**

მახლობელ მონაწილეობით და ჩვენი საუკეთესო დამსახურებულ ახალგაზრდა კრიტიკოსთა, სიტყვა-კაზმულ მწერალთა, მსახიობთა, მუსიკოსთა და ხელოვან-მხატვართა თანამშრომლობით. იუმორისტული განყოფილებით და შარჟებით.

**„თეატრი და ცხოვრება" ყოველგვარ ჯგუფურ-დასურ მიმართულების გარეშე**

ჟურნალი უმთავრეს ყურადღებას მიაქცევს სცენის, სიტყვა-კაზმულ მწერლობის, მუსიკის, ქანდაკების, სამხატვრო-სახელოვნო და საზოგადოებრივ მოვლენათა გარკვევას. **ყოველ ნომერში დაიბეჭდება სარეპერტუარო პიესა.**

**ფ ა ს ი:** წლით **5** მან., ნახევარი წლით **3** მან., თითო ნომერი **10** კაპ. ფულის შემოტანა ნაწილნაწილადაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს **2** მ., მარტის გასვლამდე **2** მ., დანარჩენი 1 მ. ენკენისთვის 1.

**ხელმოწერა მიიღება:** რედაქციაში („სორაპანი"-ს სტამბაში) დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ჟურნალ-გაზეთების კანტორა **„განთიად"**-ში, **„ცოდნის"** წიგნთსავაჭროში, რკინის გზის სახელოსნოში—**ალ. ძაძამიასთან.**

**მიიღება განცხადებანი ჟურნალში დასაბეჭდათ. განცხადების ფასი:** 1 გვ. მორიგებით, 2, გვ. კორპუსის სტრიქონი ერთ სვეტზე 25 კ. 3-ზე—20 კ., 4-ზე—15 კ.

ფული და ყოველგვარი მასალა უნდა გამოიგზავნოს იოს. იმედაშვილის სახელზე. ფოსტის მისამართი: Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба" **Іосифу Имедашвили**

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

---

## Открыта подписка на 1915 годъ.

# МАЛЮТКА

**Журналъ для маленькихъ дѣтей**

Допущенъ Министерст. Народнаго Просвѣщ. въ библіотеки дѣтскихъ садовъ и пріютовъ

**Годъ изданія тридцатый**

**12** книжекъ журнала „**МАЛЮТКА**" **12** выпусковъ сказокъ: Мурзаевъ В. „Творческая сказка" и „Сказки Кота Ученаго".

**24 Преміи**—игрушекъ для вырезыванія, склеиванія, рисованія и т. п.

Съ 1915 года открывается при журналѣ спеціальный отдѣлъ **„ХУДОЖНИКЪ-МАЛЮТКА"**, гдѣ будутъ даваться указанія и образцы Какъ и Что лѣпить, рисовать, вырѣзывать и наклеивать.

Веденіе отдѣла „Художникъ-Малютка" поручено художнику В. С. Мурзаеву.

**Годовая премія**

**„Приключенія мики"**

Интересный разсказъ (заимствованный съ англ.) М. В. Архангельской

**При первомъ нумерѣ подписчики получатъ ХУДОЖЕСТВЕННЫЕ ЛИСТЫ** для наклеиванія картины изъ сказки **„ЗОЛУШКА"**

**Подписная ц. съ пер. во всѣ гор. Россіи:**

Со сборникомъ 12 выпусковъ Сказокъ 4 р.

Безъ сборника сказокъ . . . 3 р. 50 к.

**Заграницу:**

Со сборникомъ 12 выпусковъ Сказокъ Кота Ученаго . . . 5 р.

Безъ сборника сказокъ 3 р. 50 к.

Иногороднихъ просятъ адресовать свои требованія:

**Москва, редакція журнала „МАЛЮТКА".** Спиридоновка, д. 14.

**Въ Москвѣ подписка принимается въ конторѣ Г. Печковской, Петровскія линія**

**Редакторъ М. Архангельская.** Издатель Книгоиздательство „Школа"




(წ—1)

# ახალი ქართლი

გამოდის ქ. გორში, კვირაში ორჯერ—ხუთშაბათობით და კვირაობით. წლით 5 მან. ნახ. წ. 3 მ., 3 თვით 1 მ. 50 კ., 1 თვით 50 კ., თითო ნომერი 5 კ. **მოიკითხეთ ყველა გაზ.** რედიქცია-კანტორა- გორი. სამეფო ქ. № 15.

რედ.-გამომცემელი დ. **კარიჭაშვილი.** (5—1)

---

**მიიღება ხელის მოწერა 1915 წ.**

**ყოველ-დღიური სალიტ. და საპოლიტიკო გაზეთი**

# „სახალხო ფურცელი"

(კვირაობით) **სურათებიანი დამატებით** (კვირაობით)

გამოვა იმავე პროგრამით, როგორც 1914 წ.

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით 4 მ. 50 კ. 3 თვით 2 მ. 25 კ. ერთი თვით 75 კ.

ცალკე № შაურად, დამატებიანი 7 კ.

საზღვარ-გარედ თვეში ზედმეტი 50 კ. — ადრესის გამოსაცვლელი ფასი: თბილისისა თბილისს გარედ, ან თბილისის გარეთისა ისევ თბილისის გარეთისაზე 40 კ. დანარჩენ შემთხვევებში უფასოდ.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მ. 50 კ.

შეუძლიანთ გადაიხადონ ნაწილობით:

ხელისმოწერისთანავე 3 მ., 1 აპრილამდე 2 მ., 1 თიბათვემდე და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდ. გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

**ხელის მოწერა მიიღება:** „სახალხო ფურცელის" კანტორაში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი. (შესავ. ეზოდან), 2) ქ. შ. წ.-კ. საზ. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში, 3) ქუთაისში გიგლა მებუკესთან.

ფოსტით: Тифл., газ. „Сахалхо Пурцели",
почт. ящ. № 190

---

**ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1915 ГОДЪ**
НА ЕЖЕДНЕВНУЮ ГАЗЕТУ

# „Кавказское слово"

Адресъ редакціи и конторы: Тиф. Барятинская, 6

**Подписная цѣна на газету:**

для город. подписчиковъ: на 1 годъ 7 руб., на 6 мѣс. 4 р., на 3 мѣс. 2 р., на 1 мѣс. 80 коп.
**для иногороднихъ:** на 1 годъ 8 р. 50 к., на 6 мѣс. 5 р., на 3 мѣс 2 р. 50 к., на мѣс. 1 р.

Допускается разсрочка подписной платы лицъ для годовыхъ подписчиковъ, при условіи непосредственнаго обращенія въ контору газеты.

Пользующіеся разсрочкой уплачиваютъ: городскіе подписчики—при подпискѣ—3 р., къ 1 марта—2 р. и къ 1 мая—2 р.; иногородніе—при подпискѣ 4 р. 50 к., къ 1 марта—2 р. и къ 1 мая—2 р.

Сельскимъ учителямъ, сельскимъ священникамъ, рабочимъ, мастеровымъ и фельдшерамъ предоставляется с идка 10% съ подписной платы.

Книжнымъ магазинамъ и кіоскахъ, принимающихъ подписку—5% скидки.

редакторъ: **Ю. Ф. Семеновъ.**

Издатель: **Тифлисское Т-во Печатнаго Дѣла**

---

მიიღება ხელის მოწერა 1915 წლ. რუსულ გაზეთ

# „ზაკავკაზსკაია რეჩ"-ზე

გაზეთი წლიურათ ღირს ქალაქში—6 მ.ნ. ქალაქს გარედ - 8 მან.

საზღვარ გარედ—ორჯერ მეტი.

მისამართი: Тифлисъ, „Закавказская Рѣчь" Дворцовая ул. д. Сараджева

რედაქტორი **თავ. კ. პ. თუმანიშვილი**

გამომცემელი ე. დ. გორდელაძე

---

Типографія „Сорапань"   **სტამბა „სორაპანი"**